ოქმი #14

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 24 სექტემბერი, 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:
რეზო ხეცურიანი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მ. კოპალიანი, გ. გუგავა
საკრებულოს წევრები: ე. საღინაძე, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი,
თ. ჭაბუკიანი, მ. ყურაშვილი, ო. ჩაკვეტაძე,
ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, მ. ჩიქოვანი,
ზ. მეშველიანი, ნ. ბურჯალიანი, თ. ნემსწვერიძე,
მ. ახვლედიანი, გ. გურგუჩიანი, ა. მახარობლიძე.
გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის
უფროსი: გ. კვირიკაშვილი

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.00) სხვენზე და სახურავზე საბაზო სადგურის (ანტენა და აპარატურა) განსათავსებლად გამოყოფილი ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფ. დოღურაშში მდებარე (ს/კ 89.02.33.021) N1 შენობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

3. 2025 წლის ზაფხულის პერიოდში ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებით შესახებ.
/რ. ახვლედიანი, გ. კვირიკაშვილი/

4. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 მარტის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, ს. გვიშიანი/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2025 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/რ. ხეცურიანი, მ. თოდიძე, რ. ახვლედიანი, ზ. ხეცურიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.00) სხვენზე და სახურავზე საბაზო სადგურის (ანტენა და აპარატურა) განსათავსებლად გამოყოფილი ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.00) სხვენზე და სახურავზე საბაზო სადგურის (ანტენა და აპარატურა) განსათავსებლად გამოყოფილი ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“, აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს ,,მაგთიკომი“-ს განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ გეგმავენ მობილური კავშირის გაუმჯობესებას, რისთვისაც შეირჩა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რუსთაველის ქ. №69-ში არსებული შენობის (ს/კ 89.03.22.00) სახურავი და სხვენი (ანტენა და აპარატურა). აქედან გამომდინარე ,,ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ შეფასდა საბაზო სადგურის განსათავსებლად გამოყოფილი ფართის 1 თვის საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება, დღევანდელი დღის მდგომარეობით 1 თვის საიჯარო ქირა საორიენტაციოდ შეადგენს 1000 ლარს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნულ საკადასტრო კოდზე (ს/კ 89.03.22.00) მდებარე სხვენზე და სახურავზე არსებული სასარგებლო ფართის (დაახლოებით 10 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემა - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 აგვისტოს დასკვნის შესაბამისად, სადაც საწყისი საიჯარო თანხა შეადგენს თვეში 1000 ლარს. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფ. დოღურაშში მდებარე (ს/კ 89.02.33.021) N1 შენობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფ. დოღურაშში მდებარე (ს/კ 89.02.33.021) N1 შენობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“, აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 02 ივლისს შემოვიდა ანი კოპალიანის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კოდზე 89.02.33.021) არსებული შენობა-ნაგებობის იჯარით აღება, დაინტერესებული პირი გეგმავს აფუნქციონიროს კაფე-ბარი (ნამცხვრის სახლი და ა.შ.)

მუნიციპალიტეტის მერიამ მოითხოვა აღნიშნული საიჯარე ფართის შეფასება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და მათი წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით N1 შენობის 1 თვის საიგარო ქირის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 1200 ლარს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონებიდან ს/კ 89.02.33.021 N1 შენობა, რომელიც მდებარეობს სოფ. დოღურაშში (ე.წ. მწვანე თეატრი) - გაიცეს იჯარით წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის მიხედვით და გამოცხადდეს იჯარა-აუქციონი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

3. 2025 წლის ზაფხულის პერიოდში ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ.

/რ. ახვლედიანი, გ. კვირიკაშვილი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,2025 წლის ზაფხულის პერიოდში ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ“, აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია წარმოადგინა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გიორგი კვირიკაშვილმა (ინფორმაცია თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

4. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 მარტის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, ს. გვიშიანი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 მარტის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განმარტა, რომ აღნიშნული განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებითვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულების საფუძველზე ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000ლარი, რომელიც დადგენილი წესით გადანაწილდა სოფლების მიხედვით, შესაბამისად მომზდდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის დაზუსტების შემდეგ საჭირო გახდა დამტკიცებულ დანართში ზოგიერთი ცვლილების განხორციელება. კერძოდ, სოფელ გვესოში ,,სოსილეის წყარო“-ზე სანიაღვრე არხის მოწყობის ნაცვლად შესყიდული იქნება სპორტული დანიშნულების არსებული შენობის გადახურვის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო სოფელ ორხვში გაბიძაშვილების უბანში გარე განათების მოწყობის სამუშაოები თანხის უკმარისობის გამო გაუქმდა. შესაბამისად დაგეგმილი 77 პროექტის ნაცვლად განხორციელდება 76 პროექტი.

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა 2025 წლისთვის დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა, პროექტების მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიური შედეგების გაანგარიშება.

განკარგულების პროექტი არ გამოიწვწვს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, თანხები გათვლილია ადგილობრივ ბიუჯეტში.

განკარგულების პროექტის მიღებით ცაგერის მუნიციპალიტეტის ცალკეული სოფლების მიხედვით რეაბილიტაცია ჩაუტარდება შიდა სასოფლო გზებს, გარე განათების ქსელს, წყალსადენებს, სასაფლაოების შემოღობვას, სპორტული დანიშნულების ობიექტებს, სკვერებს, სველ წერტილებს, მოსაცდელებს, წისქვილს და ხიდ-ბოგირებს. განკარგულების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება იგეგმება 2025 წლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2025 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/რ. ხეცურიანი, მ. თოდიძე, რ. ახვლედიანი, ზ. ხეცურიანი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ რეზო ხეცურიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2025 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: რეზო ხეცურიანი